

სახელი, გვარი: ლილი ფულარიანი

ასაკი: 24 წლის

ტელეფონის ნომერი: 558390389

უნივერსიტეტის დასახელება: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, GIPA

კურსი: I კურსი

ელექტრონული ფოსტა: lili.fulariani@gipa.ge

N16 ეზო, იტალიურობის მიუხედავად, საცხოვრებლად ძალიან მშვიდი და წყნარი ადგილი იყო, თუ, რა თქმა უნდა, ორ მარტოხელას არ გაითვალისწინებდით. ჟუჟუნას და ჟენიას მუდმივი კომუნიკაცია მხოლოდ ერთ სეზონზე ჰქონდათ... თუკი შეიძლება, მათ ურთიერთობას კომუნიკაცია ეწოდოს. ჟუჟუნა სიცხეს ვერ იტანდა, ჟენია - სიცივეს, ეზოში ყოფნისა და ორმხრივი ლანძღვისთვის გაზაფხულია რჩებოდათ. ამ მიზეზით იყო გაზაფხული ის პერიოდი, როდესაც ეზომ სიმშვიდე რა იყო, არ იცოდა. ასევე, არავინ იცოდა მათ შორის შუღლის მიზეზი, რადგან ისინი ეზოს ყველაზე სტაჟიანი მაცხოვრებლები იყვნენ, დანარჩენების გადმოსვლისას კი, მათ კონფლიქტს უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული.

ერთი რიგითი ბობოქარი გაზაფხულის მიწურულს, უბანში კატა გამოჩნდა, რომელსაც საკუთარი ძმის გასაბრაზებლად, ეზოში მცხოვრებმა ბავშვმა კატომ კოტე შეარქვა. კოტე დიდად ორგული პიროვნება აღმოჩნდა - 2 დღეს ჟენიასთან ატარებდა, 2 დღეს - ჟუჟუნასთან. ნებისმიერ ქართველ კაცს რომ შეშურდება, ისეთი ოსტატობით მოახერხა კოტემ თითქმის 1 წლის განმავლობაში ჟუჟუნასგან ჟენიასთან ურთიერთობის, ხოლო ჟენიასგან ჟუჟუნასთან ურთიერთობის დამალვა. მერე, როგორც ხდება ხოლმე - კატის ბუნებას არ უღალატა და პირველსავე გაზაფხულის დასაწყისში, მარტში მიატოვა ორივე.

ჟუჟუნამ იცოდა, რომ კოტე 2 დღის მანძილზე არ დაბრუნდებოდა, მაგრამ 4 რომ შესრულდა, უკვე ძალიან აღელდა. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა და სახსრების ტკივილისა, საღამოს გარეთ გამოვიდა, ეზოს გარეთაც ეძება, თუმცა ამაოდ. ეზოში შემობრუნებულმა, მოდი, ერთი, სარდაფშიც ჩავიხედავო... ჩაიხედა, სველ ფიცარზე ფეხი აუსრიალდა და რისი მოტეხვაც ერთი დაცემით შეიძლებოდა, მაქსიმალური მონდომებით მოიტეხა. ხმაურზე მეზობლებმა გამოიხედეს და საავადმყოფოში გააქანეს. ექიმებმა, მოტეხილობების გარეშეც არ უწერია დიდი დღეო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჟენიამ სიამაყეს გადააბიჯა და ბულიონით მიაკითხა ჟუჟუნას. ავადმყოფს ცრემლები წამოუვიდა, ერთი ის თქვა, ჩემი კოტე რომ არ წასულიყო, ეს ხომ არ დამემართებოდაო და სუნთქვა გაუძნელდა. სამ დღეში დარჩენილი ფეხიც გადაყო სამარეში.

ჟენია რამდენიმე თვის განმავლობაში ცდილობდა გამოეცნო, ვის გულისხმობდა ჟუჟუნა - კატა კოტეს თუ ქმარ კოტეს, რომელმაც 37 წლის წინ რამდენჯერმე გაიარა ჟენიასთან, ქალებს შორის საუკუნო შუღლი დათესა და შემდეგ ორივე მიატოვა.

გაზაფხულის ბოლოს სიკვდილი ჟენიასაც ეწვია. კოტე, მისი დიდი ხნის წინათ გადაკარგული სეხნიასი არ იყოს, აღარასდროს გამოჩენილა. ეზომ კი გაიგო თუ რა გემო აქვს მშვიდ გაზაფხულს.